1962

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს

# უწყებები

№ 28 (188) 10 ოქტომბერი 1962 წელი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

#### განყოფილება პირველი


428. შეთანხმება კულტურული თანამშრომლობის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და სომალის რესპუბლიკას შორის.

429. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ყოველწლიური დღესასწაულის „საბჭოთა მილიციის დღის“ დაწესების შესახებ.

430. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების ცვლილებების 1962 წლის აქტის რატიფიკაციის შესახებ.

431. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლუქსემბურგში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან პ. ი. გერასიმოვის გათავისუფლების შესახებ.

432. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ბელგიაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად პ. ი. გერასიმოვის დანიშვნის შესახებ.

433. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ.

434. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის საპატიო ნიშნის აღწერილობაში ცვლილების შეტანის შესახებ.


#### განყოფილება მეორე


435. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რაზმელების ნ. ა. შოსტაკის, ვ. გ. ევმენენკოსა და ვ. მ. გუსაროვის მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

436. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ ნ. ნ. ჟდანოვის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

437. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. დ. ჯავახიშვილის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
438. ბრძანებულება სსრ კავშრიის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პიანისტ პ. ა. სერებრია-კოვისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

## განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს რწმუნების სიგელები გადასცა ლივიის შეერთებული სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ო. ბარუნიმ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ნ. ნ. ორგანოვს რწმუნების სიგელები გადასცა ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულ-უფლებიანმა ელჩმა ფ. დ. კოლერმა.

ცნობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ა. კასიმოვის გაწვევის შესახებ.

# საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

## განყოფილება მეორე

439. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „საზოგა-დოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის დაჯილდოების შესახებ.
440. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ს. მიქელა-ძისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
441. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. შ. მიქელა-ძისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის საპა-ტიო წოდების მინიჭების შესახებ.
442. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.
443. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საზოგადოებრივი წე-სრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების წევრთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

# სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

## შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

### 428 კულტურული თანამშრომლობის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და სომალის რესპუბლიკას შორის

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა და სომალის რესპუბლიკის მთავრობა, რომლებიც ისწრაფვიან გააფართოვონ კულტურული კავშირი ორივე ქვეყანას შორის საბჭოთა და სომალის ხალხების მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და ურთიერთგაგების განმტკიცების ინტერესებისთვის, შეთანხმდნენ შემდეგზე:

**მუხლი I**

შეთანხმების დამდები მხარეები სუვერენიტეტის პატივისცემის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობისა და თანასწორობის პრინციპების საფუძველზე განამტკიცებენ და გააფართოებენ ურთიერთსასარგებლო კულტურულ გაცვლა-გამოცვლას იმ კანონების ფარგლებში, რომლებიც მოქმედებენ თითოეულ ქვეყანაში.

**მუხლი II**

შეთანხმების დამდები მხარეები დელეგაციების და ინდივიდუალური ვიზიტების გაცვლა-გამოცვლის გზით თავ-თავიანთ შესაძლებლობათა და მოთხოვნილებათა ფარგლებში ხელს შეუწყობენ თანამშრომლობის განვითარებას, გამოცდილების გაზიარებას და მიღწევების გაცნობას მეცნიერების, უმაღლესი განათლებისა და სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ლიტერატურის, ხელოვნებისა და სპორტის დარგში; წაახალისებენ იმას, რომ თავ-თავიანთი ხალხები გაეცნონ მეორე მხარის კულტურას და ამ მიზნით მოიწვევენ მუსიკალურ და თეატრალურ დასებს, მსახიობებს, მოაწყობენ კონცერტებს, მხატვრულ გამოფენებს, ლექციებს და ა. შ.

შეთანხმების დამდები მხარეები წაახალისებენ ორივე ქვეყნის არასამთავრობო ორგანიზაციების კულტურულ ურთიერთობას.

**მუხლი III**

შეთანხმების დამდები მხარეები ურთიერთმისაღებ საფუძველზე ხელს შეუწყობენ თანამშრომლობას წიგნებისა და ჟურნალების გავრცელების საქმეში, აგრეთვე თანამშრომლობას რადიომაუწყებლობისა და კინოს დარგში ჟურნა-

ლისტების, რადიოსა და კინო მუშაკთა დელეგაციების გაცვლა-გამოცვლის, ფილმების ჩვენების, რადიოპროგრამებისა და მუსიკალური ჩანაწერების გაცვლა-გამოცვლის გზით.

ბიბლიოთეკა

## მუხლი IV

შეთანხმების დამდები მხარეები თანახმა არიან დახმარება გაუწიონ ერთმანეთს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურისათვის ეროვნული კადრების მომზადებაში, როგორც უმაღლეს და საშუალო პროფესიულ სასწავლებლებში სწავლების შესაძლებლობის შექმნის გზით, ისე სასწავლო სტაჟის გავლის შესაძლებლობის მიცემის გზით.

## მუხლი V

შეთანხმების დამდები მხარეები განახორციელებენ სტუდენტების ურთიერთგაცვლას, ამ მიზნით შეთანხმების დამდები თითოეული მხარე საგანგებო შეთანხმების საფუძველზე თავისი ქვეყნის სასწავლებლებში მეორე მხარის სტუდენტებს მისცემს ადგილებისა და სტიპენდიების გარკვეულ რაოდენობას და შესაძლებლობის ფარგლებში ხელს შეუწყობს მეორე ქვეყნის მოქალაქეებს შევიდნენ თავის სასწავლებლებში და სამეცნიერო დაწესებულებებში სასწავლებლად ან გადასამზადებლად.

## მუხლი VI

შეთანხმების დამდები მხარეები გამოთქვამენ სურვილს, რომ სასწავლებლებში სამუშაოდ, ლექციების ან ლექციების კურსის წასაკითხად განახორციელონ სასწავლებლების მასწავლებელთა, აგრეთვე მეცნიერებისა და კულტურის მუშაკთა ურთიერთგაცვლა.

## მუხლი VII

შეთანხმების დამდები მხარეები, თითოეული თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, ხელს შეუწყობენ მეორე ქვეყნის ენის, კულტურისა და ლიტერატურის შესწავლას თავ-თავიანთი ქვეყნის შესაბამის სასწავლებლებში და სამეცნიერო ინსტიტუტებში.

## მუხლი VIII

შეთანხმების დამდები მხარეები მეცნიერული მასალის, ლიტერატურისა და პერიოდული გამოცემების ურთიერთგაცვლის მიზნით წაახალისებენ კონტაქტებს თავ-თავიანთ ეროვნულ ბიბლიოთეკებს, მუზეუმებსა და სხვა მსგავს დაწესებულებებს შორის.

## მუხლი IX

შეთანხმების დამდები მხარეები თანახმა არიან შექმნან ყველაზე ხელსაყრელი პირობები მეორე ქვეყნის მიერ მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნე-

ბის დარგში გამოცემული წიგნების ბროშურებისა და ჟურნალების თარგმნისა და გავრცელებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### მუხლი X

შეთანხმების დამდები მხარეები ხელს შეუწყობენ ორივე მხარის სპორტული ორგანიზაციების თანამშრომლობას მთლიანად სპორტის განვითარების ინტერესებისათვის, აგრეთვე ორივე ქვეყნის სპორტულ კოლექტივთა შეჯიბრების მოწყობის მიზნით. ისინი წაახალისებენ აგრეთვე სსრ კავშირის მოქალაქეთა ტურისტულ მოგზაურობას სომალიში და სომალის მოქალაქეთა ტურისტულ მოგზაურობას საბჭოთა კავშირში.

### მუხლი XI

ამ შეთანხმების განხორციელებასთან დაკავშირებული ფინანსური საკითხები იმ შემთხვევაში, როცა არ არსებობს სპეციალური შეთანხმება, მოწესრიგდება ნაცვალგების საფუძველზე.

### მუხლი XII

ეს შეთანხმება განხორციელდება ყოველწლიური გეგმების საფუძველზე, რომლებიც განსაზღვრავენ მათი განხორციელების პირობებს, ფინანსური მხარის ჩათვლით.

ზემოაღნიშნული გეგმების განხილვა განხორციელდება დიპლომატიური არხებით ყოველი წლის დამლევს.

თუ ორივე მხარე საჭიროდ მიიჩნევს ამას, ზემოხსენებული მოლაპარაკება შეიძლება მოეწყოს რიგრიგობით მოსკოვში და მოგადიშოში იმ წარმომადგენლებს შორის, რომლებსაც ორივე მხარის მთავრობები დანიშნავენ.

### მუხლი XIII

ეს შეთანხმება წარმოადგენს უვადო შეთანხმებას და რატიფიცირებულ უნდა იქნას თითოეულ ქვეყანაში არსებულ კონსიტუციური წესის შესაბამისად, შეთანხმება ძალაში შედის სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღიდან, რაც მოხდება მოგადიშოში.

თითოეულ მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ამ შეთანხმების მოქმედება, რისთვისაც მან მეორე მხარეს უნდა გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება შეთანხმების მოქმედების შეწყვეტის შესახებ. შეთანხმება ძალადაკარგულად ჩაითვლება ექვსი თვის შემდეგ იმ დღიდან, როცა ერთი მხარე ჩააბარებს მეორე მხარეს ასეთ შეტყობინებას.

დადებულია მოსკოვში 1961 წლის 2 ივნისს ორ ეგზემპლარად, თითოეული რუსულ და ინგლისურ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

**საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის მაგიერ**
**გ. ა. ჟუკოვი**

**სომალის რესპუბლიკის მთავრობის მაგიერ**
**ალი გ. ჯამა**

**სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე**

**სომალის რესპუბლიკის განათლების მინისტრი**

* * *

რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1962 წლის 2 ივლისს; სომალის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ — 1961 წლის 5 დეკემბერს.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა მოგადიშოში 1962 წლის 13 სექტემბერს.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 429 ყოველწლიური დღესასწაულის „საბჭოთა მილიციის დღის" დაწესების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაწესდეს დღესასწაული „საბჭოთა მილიციის დღე".

„საბჭოთა მილიციის დღე" აღინიშნოს ყოველწლიურად 10 ნოემბერს.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.**

**მოსკოვი,** კრემლი. 1962 წლის 26 სექტემბერი.

**№ 502-VI.**

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 430 შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების ცვლილებების 1962 წლის აქტის რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი 1962 წლის აქტი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების ცვლილე-

ზების შესახებ, რომელიც მიიღო შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური კონფერენციის 46-ე სესიამ, რატიფიცირებულ იქნას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 26 სექტემბერი.

№ 505-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 431 ლუქსემბურგში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან პ. ი. გერასიმოვის გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს პავლე ივანეს ძე გერასიმოვი ლუქსემბურგში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 26 სექტემბერი.

№ 506-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 432 ბელგიაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად პ. ი. გერასიმოვის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს პავლე ივანეს ძე გერასიმოვი ბელგიაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 26 სექტემბერი.

№ 507-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 433 სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ

იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს ენერგეტიკის მეურნეობის მართვა, უზრუნველყოფილ იქნას ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის შემ-

დგომი განვითარება, ჩვენი ქვეყნის სრული ელექტრიფიკაციის ამოცანებს შეესაბამებოდეს ენერგეტიკული მეურნეობის საორგანიზაციო-სამეურნეო ხელმძღვანელობა და შეიქმნას სსრ კავშირის ერთიანი ენერგეტიკული სისტემა, სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტრო გარდაიქმნას სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 26 სექტემბერი.

№ 508-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 434 სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის საპატიო ნიშნის აღწერილობაში ცვლილების შეტანის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის საპატიო ნიშნის აღწერილობაში, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 13 მარტის ბრძანებულებით „სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის საპატიო ნიშნის შესახებ" (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1962 წელი, № 11) სიტყვები „ტომპაკისაგან (შტო მელქიორისა მოვერცხლილია)" შეიცვალოს სიტყვებით „Бр А-5 მარკის ბრინჯაოსაგან (შტო მელქიორისა)".

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 28 სექტემბერი.

№ 515-VI.

## განყოფილება მეორე

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 435 რაზმელების ნ. ა. შოსტაკის, ვ. გ. ევმენენკოსა და ვ. მ. გუსაროვის მედლით „მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ

საშიშ დამნაშავეთა დაკავების დროს გამოჩენილი მამაცობისა და გამბედაობისათვის რაზმელები ნიკოლოზ ანტონის ძე შოსტაკი, ვასილ გაბრიელის ძე ევმენენკო და ვიქტორ მათეს ძე გუსაროვი დაჯილდოვდნენ მედლით **„მამაცობისათვის".**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 26 სექტემბერი.

№ 503-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 436 არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ ნ. ნ. ჟდანოვის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა არმიის წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ჟდანოვი დაჯილდოვდეს წითელი ვარსკვლავის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 29 სექტემბერი.
№ 518-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 437 ამხ. გ. დ. ჯავახიშვილის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. გივი დიმიტრის ძე ჯავახიშვილი დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 2 ოქტომბერი.
№ 521-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 438 პიანისტ პ. ა. სერებრიაკოვისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების დარგში დიდი დამსახურებისათვის და შემსრულებლობითი ოსტატობისათვის პიანისტ პავლე ალექსის ძე სერებრიაკოვს მიენიჭოს სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 3 ოქტომბერი.
№ 522-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს რწმუნების სიგელები გადასცა ლივიის შეერთებული სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ო. ბარუნიმ

ა. წ. 22 სექტემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა კრემლში მიიღო ლივიის შეერთებული სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ომარ ბარუნი, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ელჩს თან ახლდა საელჩოს მეორე მდივანი მ. რ. მაჰმუდი.

რწმუნების სიგელების გადაცემას ესწრებოდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ი. ა. მალიკი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საერთაშორისო კავშირურთიერთობის განყოფილების გამგე ვ. გ. ვისოტინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს აფრიკის პირველი განყოფილების გამგის მოვალეობის აღმსრულებელი ი. ს. სპიცკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოადგილე დ. ს. ნიკიფოროვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს აფრიკის პირველი განყოფილების მრჩეველი ი. ა. მელნიკი.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და მას შემდეგ, რაც სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა ო. ბარუნის. საუბარს დაესწრნენ მ. პ. გიორგაძე და ი. ა. მალიკი.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ნ. ნ. ორგანოვს რწმუნების სიგელები გადასცა ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ფ. დ. კოლერმა

ა. წ. 27 სექტემბერს კრემლში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ნ. ორგანოვმა მიიღო სსრ კავშირში ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ფოი დ. კოლერი, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ელჩს თან ახლდნენ მრჩეველი-დესპანი ჯ. მ. მაკსუინი, მრჩევლები რ. ფანკჰაუზერი და ი. სტეიპელსი, სამხედრო, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ატაშეები და სსრ კავშირში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს სხვა დიპლომატიური თანამშრომლები, რომლებიც ელჩმა ნ. ნ. ორგანოვს წარუდგინა.

რწმუნების სიგელების გადაცემას ესწრებოდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი ვ. ვ. კუზნეცოვი, კოლეგიის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ამერიკის შეერთებული შტატე-

ბის განყოფილების გამგე მ. ნ. სმირნოვსკი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საერთაშორისო კავშირურთიერთობის განყოფილების გამგე ვ. ვ. ვისოტინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სხვა პასუხისმგებელი მუშაკები.

ნ. ნ. ორგანოვმა და ფ. დ. კოლერმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

თავის სიტყვაში ფ. დ. კოლერმა განაცხადა:

თითქმის ოცდაცხრა წლის წინათ, როცა ჩვენს ორ მთავრობას შორის ურთიერთობა დამყარდა, პრეზიდენტმა რუზველტმა იმედი გამოთქვა, ამიერიდან ჩვენი ხალხები ითანამშრომლებენ ურთიერთსარგებლიანობის და მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვისო. მაშინ მან განაცხადა, მშვიდობის შენარჩუნების დიდ საქმეში გაწეული ასეთი თანამშრომლობა მტკიცე მეგობრობის ქვაკუთხედი უნდა იყოსო. მომდევნო წლებში იყო პერიოდები პროგრესისა ამ მიზნისაკენ, რომელიც კვლავაც არის შეერთებული შტატების პოლიტიკის ძირითადი მიზანი. მაგრამ დროდადრო ამ გზაზე გვხვდებოდა დაბრკოლებები. დიდი ტექნიკური აღმოჩენების ამ ეპოქაში, როცა ადამიანი ისწრაფვის კოსმოსისაკენ, წინანდელზე უფრო საჭირო ხდება, რომ ჩვენი მთავრობები ერთად ეშურებოდნენ იმ მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო პრობლემების გადაჭრას, რომლებიც მძიმე ტვირთად აწევს ჩვენს სამყაროს.

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩად ყოფნის დროს ჩემი მოვალეობა და სასიამოვნო ვალდებულება იქნება ხელი შევუწყო ამ პრობლემების მეგობრულ მოწესრიგებას და იმას, რომ მივაღწიოთ ურთიერთგაგებასა და მშვიდობის ინტერესებისათვის თანამშრომლობას.

საპასუხო სიტყვაში ნ. ნ. ორგანოვი მიესალმა ელჩს და განაცხადა:

საბჭოთა კავშირი თავის საგარეო პოლიტიკაში განუხრელად იცავს სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის და საქმიანი თანამშრომლობის პრინციპებს და ყველაფერს აკეთებს, რაც მასზეა დამოკიდებული, საერთაშორისო დაძაბულობის შემცირებისა და ლიკვიდაციისათვის, დედამიწაზე მტკიცე მშვიდობის დამყარებისათვის და ამასთან დაკავშირებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ურთიერთობის გაუმჯობესებას ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ამიტომ კმაყოფილებით ვხვდებით იმ თქვენს სიტყვებს, რომ თავის დროზე პრეზიდენტ რუზველტის გამოთქმული იმედი ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთსარგებლიანობის და მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის თანამშრომლობის ურთიერთობა დამყარდებაო, კვლავ წარმოადგენს შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ძირითად მიზანს.

ადამიანის გენიის უდიდესი მიღწევების ეპოქაში, ატომური ენერგიისა და კოსმოსის საუკუნეში ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობა გადაუჭრელი საერთაშორისო პრობლემების მოსაწესრიგებლად, გადაუჭრელი პრობლემებისა, რომლებიც აშფოთებენ მთელ მსოფლიოს, ნამდვილად კიდევ უფრო აუცილებელი და საჭირო გახდა.

შემიძლია დაგარწმუნო ბატონო ელჩო, რომ თქვენი მოღვაწეობა მიმართული იმისათვის, რომ ჩვენმა ქვეყანებმა მიაღწიონ ურთიერთგაგებასა და

თანამშრომლობას მშვიდობის ინტერესებისათვის, ყოველთვის ჰპოვებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და საბჭოთა მთავრობის გაგებას და მხარდაჭერას.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და მას შემდეგ, რაც ერთმანეთს სიტყვებით მიმართეს ნ. ნ. ორგანოვი ესაუბრა ფ. დ. კოლერს, საუბარს ესწრებოდნენ მ. პ. გიორგაძე, ვ. ვ. კუზნეცოვი და ჯ. მ. მაკსუინი.

## ცნობა

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ა. კასიმოვის გაწვევის შესახებ

1962 წლის 7-დან 11 სექტემბრამდე კენჭი უყარეს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატის ა. კასიმოვის გაწვევას, რომელიც არჩეულია ტაჯიკეთის სსრ კურგან-ტიუბეს № 287 საარჩევნო ოლქისაგან.

გაწვევის კენჭის ყრა ჩატარდა „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გაწვევის წესის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად.

გაწვევის კენჭის ყრის ჩამტარებელი საოლქო კომისიის ცნობით კენჭის ყრის შედეგების შესაბამისად ა. კასიმოვი გაწვეულია ეროვნებათა საბჭოს შემადგენლობიდან.

# საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 439 მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში აქტიური მონაწილეობისათვის, მოვალეობის შესრულებისას გამბედაობისა და თავგანწირულების გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით **„საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“** ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების წევრები:

1. პავლე ივანეს ძე **ბარბაქაძე** — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ დამხმარე სამმართველოს ლითონის ჩამომსხმელი,

2. ვლადიმერ ანტონის ძე ჩიქოვანი — ქ. ბათუმის ნავთის გადამმუშავებელი ქარხნის დანადგარის უფროსი,

3. იაკობ ზაქარიას ძე ცვიგუნი — პენსიონერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი. 1962 წლის 5 ოქტომბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 440 ამხ. ი. ს. მიქელაძისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისა და სახალხო მეურნეობის დარგში დამსახურებისათვის, დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს, ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორს ირაკლი სოლომონის ძე მიქელაძეს მიენიჭოს საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი. 1962 წლის 29 სექტემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 441 ამხ. გ. შ. მიქელაძისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში დამსახურებისათვის, დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. გივი შალვას ძე მიქელაძეს მიენიჭოს საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი. 1962 წლის 6 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 442 საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

სამთამადნო მრეწველობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი საინჟინრო მოღვაწეობისათვის, აგრეთვე რაციონალიზატორული წინადადებებისათვის, რომელთა დანერგვამ მნიშვნელოვანი ეკონომიური ეფექტი მოგვცა, მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრისა:**

1. გრიგოლ ალექსის ძე **ბერიშვილს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამთო საქმის ინსტიტუტის წამყვან ინჟინერს,
2. დავით აბრამის ძე **ბორინშტეინს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს „სახსამთოტექზედამხედველობის" კომიტეტის განყოფილების უფროსს,
3. ნიკოლოზ მიხეილის ძე **გამცემლიძეს** — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის" ს. ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა სამმართველოს მთავარ ინჟინერს,
4. დანიელ ტარასის ძე **გელაშვილს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამთო საქმის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს,
5. ლევან ანტონის ძე **გელოვანს** — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს რაჭის სამთომეტალურგიული კომბინატის დირექტორს,
6. გიორგი ირაკლის ძე **დეკანოზიშვილს** — ინსტიტუტ „გიპრორუდმაშის" ჭიათურის ფილიალის უფროსს,
7. ალექსანდრე ქიშვარდის ძე **დუმბაძეს** — პენსიონერს,
8. სერგო ილიას ძე **ეძგვერაძეს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს „სახსამთოტექზედამხედველობის" კომიტეტის უფროს ინჟინერს,
9. ივანე სიმონის ძე **თადუმაძეს** — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის" ცენტრალური ლაბორატორიის უფროსს,
10. ალექსანდრე სერგის ძე **კახრაძეს** — ტრესტ „საქშახტმშენის" განყოფილების უფროსის მოადგილეს,
11. კონსტანტინე ლაზარეს ძე **კვინიკაძეს** — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამთო მრეწველობის სამმართველოს უფროს ინჟინერს,
12. გრიგოლ გერონტის ძე **კირკიტაძეს** — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის" მმართველის მოადგილეს,
13. გიორგი ანტონის ძე **კოსტავას** — ტრესტ „საქშახტმშენის" განყოფილების უფროსს,
14. იოსებ დიმიტრის ძე **ლაბარტყავას** — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამმართველოს ინჟინერს,
15. ვლადიმერ ილარიონის ძე **ლეკიშვილს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამთო საქმის ინსტიტუტის წამყვან ინჟინერს,
16. იონა ბესარიონის ძე **მელქაძეს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს „სახსამთოტექზედამხედველობის" კომიტეტის უფროს ინჟინერს,
17. გურგენ ივანეს ძე **მიქაშავიძეს** — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის" მთავარ ინჟინერს,

18. სერგი გიორგის ძე მირაქოვს — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამთო მრეწველობის სამმართველოს განყოფილების ინჟინერს,

19. გრიგოლ მაქსიმეს ძე მუმლაძეს — ტრესტ „ტყიბულქვანახშირის" ცენტრალური საკარიერო მეურნეობის მთავარ ინჟინერს,

20. მიხეილ სოლომონის ძე ნასიძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის მთავარ სპეციალისტს,

21. სერგი კიმოთეს ძე პეტრიაშვილს — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის მაღაროთა სამმართველოს დირექტორს,

22. ვახტანგ პავლეს ძე საყვარელიძეს — ტრესტ „საქნავთის" გეოლოგიურ-საძიებელი კანტორის დირექტორს,

23. დიმიტრი პარმენის ძე სირბილაძეს — ტრესტ „საქმთანედლეულის" მთავარ მექანიკოსს,

24. სერგი პეტრეს ძე ტოროშელიძეს — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს განყოფილების ჯგუფის უფროსს,

25. ირაკლი ზურაბის ძე ფარესიშვილს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის განყოფილების მთავარ სპეციალისტს,

26. კაპიტონ ფილიპეს ძე ქობალიას — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის" № 3 შახტის მთავარი ინჟინრის მოადგილეს,

27. შალვა სიმონის ძე ქურციკიძეს — ტრესტ „ტყიბულქვანახშირის" განყოფილების მთავარ ინჟინერს,

28. ნიკოლოზ მიხეილის ძე ყველაშვილს — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს განყოფილების უფროს ინჟინერს,

29. დავით სიმონის ძე ჩიხელიძეს — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის" ცენტრალური მექანიკური სახელოსნოს მთავარ ინჟინერს,

30. ვლადიმერ თომას ძე ჭანიშვილს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამთო საქმის ინსტიტუტის წამყვან ინჟინერს,

31. სერგი ნესტორის ძე ხელიძეს — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის" განყოფილების უფროსს,

32. ისაი ალექსანდრეს ძე ხვადაგიანს — სამშენებლო სამმართველო „ახალციხშახტმშენის" უბნის სამთო საამქროს უფროსს,

33. გიორგი ნიკიფორეს ძე ჯაფარიძეს — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამთო მრეწველობის სამმართველოს უფროს ინჟინერს,

34. შალვა მიხეილის ძე ჯამასპიშვილს — ტრესტ „საქშახტმშენის" მთავარ მექანიკოსს;

**საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორისა:**

1. იური ლევის ძე მოლოტოვს — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის" მთავარ ინჟინერს,

2. ვასილ ილარიონის ძე ჩაჩანიძეს — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამმართველოს განყოფილების უფროს ინჟინერს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1962 წლის 29 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 443 საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების წევრთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში აქტიური მონაწილეობისა და მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების წევრები:

1. ივანე მიხეილის ძე **ადლეიბა** — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ № 5 შახტის საბაგირო გზის უფროსის მოადგილე,
2. ვასილ მიხეილის ძე **დარსაველიძე** — ქ. ბათუმის № 2 საკოლმეურნეო ბაზრის დირექტორი,
3. ტოგო მაქსიმეს ძე **კალანდია** — სოხუმის აეროპორტის მუშაკი,
4. პეტრე ვასილის ძე **კაჯაევი** — ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი,
5. იოსებ ნიკიტას ძე **კიკვაძე** — მახარაძის რაიონის სოფელ ლაშეს ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი,
6. ზაქარია ალექსანდრეს ძე **ლომთაძე** — სამტრესტის საწარმოო კომბინატის მუშა,
7. ოთარ იროდის ძე **სვანიძე** — მემონტაჟე ზეინკალი,
8. ჯემალ მიხეილის ძე **ქამუშაძე** — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ შახტმშენის სამშენებლო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელი,
9. თენგიზ მაქსიმეს ძე **ხეცურიანი** — თბილისის № 6 სამკერვალო ფაბრიკის საქონელმცოდნე.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი. 1962 წლის 5 ოქტომბერი.